



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 14/65

2023 წლის 18 დეკემბერი

ქალაქი ფოთი

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 2 დეკემბრის №27/28 დადგენილებაში ცვლილების განხორციელების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს 2023 წლის 20 ნოემბერს (რეგისტრაციის №10/4223324133-42) განცხადებით მომართა შპს „მბმ“-ის დირექტორმა და წარმოდგენილი საწყისი მონაცემების საფუძველზე მოითხოვა ქალაქ ფოთში, მეშვიდე კილომეტრის დასახლებაში, შპს „მბმ“-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთისათვის (საკადასტრო კოდი 04.01.03.902) შესაბამისი ფუნქციური ზონის მინიჭება. აღნიშნული მიწის ნაკვეთი, მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, წარმოადგენს ცენტრის ზონას (შზ-2), ხოლო შპს „მბმ“-ის მიერ, ტერიტორიის განვითარების მიზნით მოთხოვნილია მოცემულ ნაკვეთს მიენიჭოს საწარმოო ზონის (იზ-1) სტატუსი.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 42-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის, №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მე-16 და მე-20 მუხლების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის შესაბამისად:

მუხლი1.

დაწყებულ იქნას ადმინისტრაციული წარმოება „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის - გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 2 დეკემბრის №27/28 დადგენილებაში შესატანი ცვლილების განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

მუხლი2.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს დაევალოს „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის - გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 2 დეკემბრის №27/28 დადგენილებაში შესატანი ცვლილების საჯარო განხილვა (ზეპირი მოსმენის ჩატარებით ან/და ელექტრონული ფორმით). ასევე საბოლოო პროექტის შემუშავების უზრუნველყოფა და ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების გატარება კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია 2023 წლის 18 დეკემბრიდან.

მუხლი 4.

განკარგულება შესაძლებელია გასაჩივრდეს, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე ტყებუჩავა

